„ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო“

კოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2024 წელი ● №15-16 (9581-82) ● 1-31 აგვისტო ● ფასი 1 ლარი და 40 თეთრი

მუნიციპალიტეტის მერიაში

გამარჯვება მიულოცეს

საქართველოს პარლამენტის წევრი, ფოთის, ხობისა და სენაკის მაჟორიტარი დეპუტატი, გიორგი ხახუბია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია და მერის მოადგილე, ნანა ზარანდია, მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების თექვსმეტწლამდელ კალათბურთელთა გუნდს და მათ მწვრთნელს, შოთა კუჭავას შეხვდნენ და მოპოვებული გამარჯვება მიულოცეს.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსებით, კალათბურთელთა გუნდმა, თავისი არსებობისა და სენაკის სპორტის ისტორიაში, საერთაშორისო ტურნირზე პირველად იასპარეზა, ბულგარეთის ქალაქ ბურგასში, ყველა სატურნირო შეხვედრა დამაჯერებელი გამარჯვებით დაასრულა და ტურნირის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

საქართველოს პარლამენტის წევრმა, გიორგი ხახუბიამ, კალათბურთელებსა და მათ მწვრთნელს, ფულადი ჯილდო გადასცა.

სტიქიის საპრევენციო სამუშაოები

სენაკის მუნიპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, პირველ მოადგილესთან, ბადრი ქუთელიასთან, საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარესთან, გიგა წურწუმიასთან, მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსთან, ედიკა ბერაიასთან ერთად, მუნიციპალიტეტის მასშტაბით მიმდინარე და განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგს, ყველდღიურ რეჟიმში, აქტიურად აგრძელებს.ამ ეტაპზე, მუნიციპალიტეტში, ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს სტიქიის პრევენციის სამუშაოები. სამუშაოებს ერთდროულად რამდენიმე კომპანია აწარმოებს. ეს ფოტო თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გოლასკურში, გაბიონის–მოწყობის სამუშაოებს ასახავს.

პროექტის ღირებულება 10 955 ლარს შეადგენს. სტიქიის საპრევენციო სამუშაოები, ყოველდღიურ რეჟიმში ასევე აქტიურად მიმდინარეობს შემდეგ ლოკაციებზე: მენჯის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ პერტულში, დასრულების ეტაპზეა ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ლეძაძამეს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბეთლემში, მიმდინარეობს ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობის სამუშაოები; ძველი სენაკის ადმინისტარციულ ერთეულში, სამ ლოკაციაზე - სხივის ქუჩაზე, ზემო კოტიანეთსა და სოფელ კოტიანეთის საარახამიოს უბანში, მიმდინარეობს მილხიდების, სანიაღვრე სისტემისა და ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობის პროექტები; ქალაქში, რამდენიმე ლოკაციაზე - ფოთის, ჭყონდიდელის, არჩაიას, დემურიას ქუჩებზე, აქტიურ რეჟიმში ხორციელდება ახალი სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები; პარალელურად, 26 მაისის ქუჩაზე, მიმდინარეობს სტიქიის შედეგად დაზიანებული კედლის აღდგენა-რეაბილიტაციის პროექტი; გიორგი ბრწყინვალეს ქუჩაზე - სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდის აღდგენითი სამუშაოები; ვახტანგ გორგასლის ქუჩის 97-თან - არსებული არხის ჯებირის ამაღლების სამუშაოები.

სკრინინგ აქცია

სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ორგანიზებით - დირექტორი, ანა ჭიჭაღუა, ჰეპატიტის მსოფლიო დღე აღინიშნა, დღე, რომელიც ვირუსული ჰეპატიტის გლობალური ტვირთისა და დაავადების პრევენციის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, სახელმწიფო, სამედიცინო და სამოქალაქო სექტორებს აერთიანებს. დღის განმავლობაში, მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში, ცენტრის მობილურმა ბრიგადამ სკრინინგ აქცია გამართა, რომელსაც სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, ბადრი ქუთელია, მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი, ნატალია ხუბუა, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, რამაზ კუპრეიშვილი, მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი, გიორგი ბაღათურია, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად შეუერთდნენ. ჰეპატიტების მსოფლიო დღე 28 ივლისს აღინიშნება. 2015 წლის 21 აპრილს, საქართველოს მთავრობამ, სამოქალაქო საზოგადოების, მედიკოსებისა და ამერიკის შეერთებული შტატების დაავადებათა კონტროლის ცენტრისა და კომპანია „გილეადის“ მხარდაჭერით, მიიღო გადაწყვეტილება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინიციატივაზე - დაწყებულიყო C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა, რის შედეგადაც, C ჰეპატიტისგან უამრავი ადამიანი განიკურნა და საქართველო გლობალური ლიდერი გახდა. საქართველოში მოქმედი C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ანალოგი მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ განხორციელებულა. C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში პროგრამაში ჩართვა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა სრულიად უფასოა და ყველა პაციენტისთვის - ხელმისაწვდომი.

16 წელი აგვისტოს ომიდან...

სენაკში, პატივი მიაგეს 2008 წლის აგვისტოს, რუსეთ-საქართველოს ომში ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული მეომრებისა და რუსეთის აგრესიას შეწირული მშვიდობიანი მოქალაქეების ხსოვნას. ხსოვნის მემორიალი გვირგვინებით შეამკეს სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, საკრებულოს თავმჯდომარემ, საბა ოდიშარიამ, მერის პირველმა მოადგილემ, ბადრი ქუთელიამ, მერის მოადგილემ, ნანა ზარანდიამ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ზაზა ნაჭყებიამ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთისა და გურიის რეგიონული ცენტრის სენაკის მუნიციპალური განყოფილების უფროსმა, მაიორმა ჯაბა ლაშქარავამ, აგვისტოს ომში დაღუპულთა ოჯახების წევრებმა, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა. მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის მოსწავლეებმა ლიტერატურული კომპოზიციით, კიდევ ერთხელ გააცოცხლეს საქართველოს უახლესი ისტორიის ტრაგიკული დღეები. წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძარში, დეკანოზმა იოანე კუპრეიშვილმა, აგვისტოს ომის მსხვერპლთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი აღავლინა. იმავე დღეს, სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, საკრებულოს თავმჯდომარემ, საბა ოდიშარიამ, მერის პირველმა მოადგილემ, ბადრი ქუთელიამ, მერის მოადგილემ, ნანა ზარანდიამ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთისა და გურიის რეგიონული ცენტრის სენაკის მუნიციპალური განყოფილების უფროსმა, მაიორმა ჯაბა ლაშქარავამ, პატივი მიაგეს და ყვავილებით შეამკეს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული, სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის კაპრალის, თემურ ბოკუჩავას საფლავი. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ, სოციალური პროგრამის ფარგლებში, 2008 წლის აგვისტოს ომში და ავღანეთში, ISAF-ის მისიაში, დაღუპულთა ოჯახებს 500-500 ლარი გადასცა. 2008 წლის აგვისტოს ომის მეთექვსმეტე წლისთავთან დაკავშირებით, სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობებზე, აგვისტოს ომში საქართველოს დამოუკიდებლობისა და ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად, სახელმწიფო დროშები დაეშვა. საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე, სახელმწიფო დროშები დაეშვა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ადმინისტრაციული ორგანოების შენობებზე, 8 აგვისტოს 00:00 საათიდან 9 აგვისტოს 00:00 საათამდე

პატივი მიაგეს

მეორე ქვეითი ბრიგადის კაპრალის, ლევან თეფანიას დაღუპვიდან მე-16 წელს, სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, საკრებულოს თავმჯდომარემ, საბა ოდიშარიამ და მერის მოადგილემ, ნანა ზარანდიამ, პატივი მიაგეს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული სენაკელი ჯარისკაცის ხსოვნას და საფლავი ყვავილებით შეამკეს. სენაკელი ლევან თეფანია, 27 წლის ასაკში, 9 აგვისტოს, საომარი მოქმედებების დროს, ცხინვალის მისადგომებთან, სოფელ ხეთაგუროვაში დაიღუპა.

სოფელ კვაუთში

სენაკის მუნიციპალიტეტის ლეძაძამეს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ კვაუთში, საგზაო ინფრასტრუქტურული სამუშაოები დასრულებულია. წლების მანძილზე, გზის სავალ ნაწილზე შექმნილი დაზიანებები და მოშლილი ინფრასტრუქტურა მოსახლეობას გადაადგილებისას პრობლემას უქმნიდა. მიმდინარე წელს, პირველად, სოფელ კვაუთში, 2 602 კმ. გზაზე, დაიგო ასფალტო-ბეტონის საფარი; მოეწყო სახიდე გადასასვლელები, ხიდ-ბოგირი, მილხიდები, ახალი სანიაღვრე სისტემა. პროექტი, ღირებულებით - 1 288 949 ლარი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსებით განხორციელდა.

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

(გაგრძელება)

რუსთაველის თეატრის გასტროლი სენაკში

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით, რუსთაველის ეროვნულმა თეატრმა, სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე, სპექტაკლი - „იცხოვრე, ვიდრე ცოცხალი ხარ...” წარადგინა. სპექტაკლს სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ნანა ზარანდია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ზაზა ნაჭყებია, ადგილობრივი თვითმმართველობის, თეატრალური სფეროს და საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ. სპექტაკლის რეჟისურა, მხატვრობა და მუსიკალური გაფორმება ჰაკოფ ღაზანჩიანს ეკუთვნის; ქორეოგრაფია - კოტე ფურცელაძეს; სევდიან კომედიაში მონაწილეობენ რუსთაველის ეროვნული თეატრის მსახიობები: მარინა კახიანი, სოსო აბრამიშვილი, ლევან ბერიკაშვილი, მანანა გამცემლიძე, თენგიზ გიორგაძე, ნინო თარხან-მოურავი, ბაჩი ლეჟავა, მარიტა მესხორაძე, დარეჯან ხარშილაძე, მაია ხორნაული, ზურაბ შარია. სპექტაკლში ემიგრანტული ცხოვრების სევდაა ასახული - ცნობილი ქართველი მომღერალი, რომელიც წლების წინ დიდი პოპულარობით სარგებლობდა სამშობლოში, ემიგრაციაში იმყოფება და 70 წლის იუბილის აღსანიშნავად ემზადება. ის ოჯახის წევრების, ახლო ნათესავების მოლოდინშია და იმედი აქვს, რომ მნიშვნელოვან დღეს უახლოესი ადამიანების გარემოცვაში გაატარებს, მაგრამ, მარტო რჩება... სახეზეა იმედგაცრუება და სიმარტოვის განცდა. იგი, დის რჩევით დაბადების დღეს მოზარდთა ზრუნვის დღის ცენტრში, მხიარულ გარემოში, ქართველ ემიგრანტებთან ერთად აღნიშნავს. სპექტაკლში ხაზგასმულია ის სევდა, მონატრება, სიყვარული, რაც მძაფრად იგრძნობა საქართველოდან შორს, ემიგრაციაში მყოფ ქართველებში.

მე-2 ქვეითი ბრიგადის 32 წლის იუბილე

საქართველოს თავდაცვის ძალების დასავლეთის სარდლობის მე-2 ქვეითი ბრიგადის 32 წლის იუბილესთან დაკავშირებით, სენაკის სამხედრო ბაზის სამწყობრო მოედანზე საზეიმო ცერემონიალი გაიმართა. პირად შემადგენლობას ბრიგადის იუბილე საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, ირაკლი ჩიქოვანმა და თავდაცვის ძალების მეთაურმა, გენერალ-მაიორმა გიორგი მათიაშვილმა მიულოცეს. ოფიციალური ღონისძიების დაწყებამდე, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, თავდაცვის ძალების მეთაურმა, თავდაცვის ძალების დასავლეთის სარდალმა, ბრიგადის გენერალმა კობა გრიგოლიამ და მე-2 ქვეითი ბრიგადის მეთაურმა, პოლკოვნიკმა ირაკლი კალანდაძემ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს და პატივი მიაგეს მათ ხსოვნას. საიუბილეო ღონისძიებაზე, სამხედრო მოსამსახურეები უწყებრივი მედლებითა და საშტატო იარაღით დაჯილდოვდნენ. საქართველოს თავდაცვის ძალების დასავლეთის სარდლობის მე-2 ქვეითი ბრიგადის საიუბილეო ღონისძიებას, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული, გიორგი გუგუჩია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია, მერის პირველი მოადგილე, ბადრი ქუთელია ესწრებოდნენ. საიუბილეო აქტივობებში მონაწილეობა სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის მოსწავლეებმა მიიღეს.

პროექტი - „მომავლის ელჩები 2024“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტ შიოს ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქიის განათლების ცენტრის, სენაკის წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის სკოლა-გიმნაზიის, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მომსახურების სააგენტოს ორგანიზებით და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტი - „მომავლის ელჩები 2024” დასრულდა. დასკვნით ღონისძიებას, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, მერის მოადგილე, ნანა ზარანდია, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მომსახურების სააგენტოს დირექტორი, სალომე დოლიძე, წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის ტაძრის წინამძღვარი, მალხაზ ჭანტურია, მართლმადიდებლური სკოლა–გიმნაზიის დირექტორთან, ნინო ჯანჯღავასთან და შესაბამისი სექტორის წარმომადგენლებთან ერთად, დაესწრნენ. პროექტში, რომელიც უკვე მე-3 წელია ხორციელდება, წელს, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ასევე, სენაკისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტებში მცხოვრები დევნილი ახალგაზრდები და წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეები იყვნენ ჩართულები. პროექტის ფარგლებში, დევნილი მოზარდები, დროს შემეცნებითად, ეფექტურად და ხალისიანად ატარებდნენ. ლოგიკური აზროვნების, საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების, ინოვაციური, ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარების განვითარების ხელშესაწყობად, სასწავლო-შემოქმედებითი პროცესი მოიცავდა მათ ჩართულობას შემეცნებით და გასართობ აქტივობებში, მხიარულ თამაშებსა და სხვადასხვა სახის ვიქტორინებში, STEM მეცადინეობებს სენაკის ტექნოპარკში, ექსკურსიებს, აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დასის წევრებთან საინტერესო თანამშრომლობას და მათი მიწვევით, სპექტაკლებზე დასწრებას. პროექტის ყველა მონაწილეს, დასკვნით საღამოზე, სერტიფიკატები და სამახსოვრო საჩუქრები გადაეცა.

სამშობიარო სახლის სრული რეაბილიტაცია

საქართველოს პარლამენტის წევრი, ფოთის, სენაკისა და ხობის მაჟორიტარი დეპუტატი, გიორგი ხახუბია, სენაკის მუნიპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, სენაკის სამშობიარო სახლში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნენ, სამშობიარო სახლის დირექტორს, კესო ვახანიას და კლინიკის ექიმებს შეხვდნენ. სენაკის სამშობიარო სახლმა ფუნქციონირება 2017 წელს შეწყვიტა და მხოლოდ ლაბორატორიულ და საკონსულტაციო სერვისებს სთავაზობდა მოსახლეობას. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სამშობიარო სახლის სრული რეაბილიტაცია, რომლის დასრულების შემდეგ, იგი მრავალპროფილურ სერვისებს შესთავაზებს ჩვენს მოსახლეობას. ამ მნიშვნელოვანი სამედიცინო დაწესებულების აღდგენა-რეაბილიტაციის პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება. ღირებულება 579 940 ლარს შეადგენს. პროექტის დასრულება ოქტომბრის თვეში იგეგმება.

ნაპირსამაგრი პროექტები

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაფინანსებით, თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ტყირში, მდინარე რიონზე, მასშტაბური ნაპირსამაგრი–სამუშაოები მიმდინარეობს. წლების განმავლობაში, უხვი ნალექის დროს, მდინარე რიონი მოსახლეობას მუდმივ საფრთხეს უქმნიდა. აღნიშნული პროექტის განხორციელებით, საგრძნობლად შემცირდება მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების–დატბორვის და ნაპირის–ჩამოშლის–საშიშროება. პროექტის ღირებულება 3 988 888 ლარს შეადგენს. მასშტაბური სამუშაოების მიმდინარეობას, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, საკრებულოს თავმჯდომარესთან, საბა ოდიშარიასთან, პირველ მოადგილესთან, ბადრი ქუთელიასთან და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო. მასშტაბური ნაპირსამაგრი სამუშაოები, 2023 წელს, ასევე ჩატარდა მდინარე რიონზე - სამ ლოკაციაზე: ზემო ჭალადიდის, ახალსოფლის და თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

სამუშაო შეხვედრა

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების გენერალური მდივნის მოადგილეს, კახაბერ მამულაძეს; საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციის პროექტების მენეჯერს, მარტინ დე ვრისს და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სენაკის ფილიალის ხელმძღვანელს, რომან ავალიანს შეხვდა. სამუშაო შეხვედრაზე საუბარი შეეხო სენაკში, წყალდიდობის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის ვაუჩერების გაცემის, წითელი ჯვრის საზოგადოებისა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ერთობლივი პროგრამების განხორციელების საკითხებსა და ურთერთთანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივებს.

„მუსიკელის“ და „უნდინესის“ კონცერტი

მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის საკონცერტო დარბაზში, ვაჟთა ანსამბლ „მუსიკელის“ და ლატვიის ქალთა ანსამბლ „უნდინესის“ კონცერტი გაიმართა. საღამოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ნანა ზარანდია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან, ზაზა ნაჭყებიასთან, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსთან, გივი მისაბიშვილთან და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო. სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, ნანა ზარანდიამ, მადლობა გადაუხადა ჩვენი ქალაქის სტუმრებს - ლატვიის ქალთა ანსამბლ „უნდინესის“ წევრებს, ანსამბლის ხელმძღვანელს, ლანა ადუკას და შემოქმედებითი წარმატებები უსურვა. კონცერტზე, რომელსაც მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის სპეციალისტი, ლია ღვამბერია უძღვებოდა, მონაწილეობა ასევე მიიღო ცენტრთან არსებულმა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ეგრისმა“.

(დასასრული მესამე გვერდზე)

მუნიციპალიტეტის მერიაში (დასასრული)

სპორტული აქტივობები

12 აგვისტოს, ახალგაზრდული დღეების ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიისა და განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის ორგანიზებით, სპორტული აქტივობები ჩატარდა. სენაკის სპორტის სასახლემ 3X3-ზე კალათბურთის ტურნირს უმასპინძლა. შემდეგ, ახალგაზრდა ფეხბურთელებმა, ამ დღისადმი მიძღვნილი თასი გაითამაშეს. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსმა, გივი მისაბიშვილმა, გამარჯვებულები და პრიზიორები, თასებით, მედლებითა და სიგელებით დააჯილდოვა. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქტივობები, საცხენოსნო ტურნირით დასრულდა. ქალაქის იპოდრომზე, სენაკის მუნიციპალიტეტის ზემო ჭალადიდისა და სამტრედიის მუნიციპალიტეტის გუნდების მონაწილეობით, გაიმართა საცხენოსნო შეჯიბრი - არამატერიალური, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ნუსხაში შესულ სახეობებში - ისინდსა და ცხენბურთში. მარულას სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, მერის პირველი მოადგილე, ბადრი ქუთელია, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ლევან უჩანეიშვილი, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი, გივი მისაბიშვილი, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და გულშემატკივრები დაესწრნენ. 12 აგვისტოს დაგეგმილი კულტურული და გასართობი აქტივობები, ქალაქში დატრიალებული ტრაგედიის გამო, გადაიდო.

პროექტი - „ღია კარი თბილ სახლში“

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, პროექტის - „ღია კარი თბილ სახლში“, ფარგლებში, ა(ა)იპ სენაკის სათემო განათლების ცენტრის ხელმძღვანელს, ნონა ქადარიას შეხვდა. სენაკის სათემო განათლების ცენტრის პროექტი - „ღია კარი თბილ სახლში“, ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსის გამარჯვებულია. პროექტის მიზანია ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება, თვითრეალიზაციის და თვითდამკვიდრების ხელშეწყობა ახალგაზრდებში, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. პროექტის ფარგლებში, 18 და 19 აგვისტოს, სენაკის სათემო განათლების ცენტრი, ნოქალაქევში გეგმავს ახალგაზრდული ბანაკის მოწყობას, სადაც პროექტის მონაწილე ახალგაზრდები, ორი დღის მანძილზე, სპორტულ, საგანმანათლებლო, შემეცნებით და სხვადასხვა გასართობ აქტივობებში ჩაერთვებიან.

პროექტი - „ხელოვნების საზაფხულო სკოლა“

სენაკის მუნიციპალიტეტში, მერიის მხარდაჭერითა და მუნიციპალიტეტის ხელოვნების–ცენტრის ორგანიზებით, პროექტი - „ხელოვნების საზაფხულო სკოლა“ მიმდინარეობდა. პროექტის ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ნანა ზარანდია, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი, გივი მისაბიშვილი და ხელოვნების ცენტრის დირექტორი, ვეფხვია ვეფხვაძე, მოზარდებთან ერთად, საგანმანათლებლო-შემეცნებით აქტივობებში ჩაერთვნენ. მუსიკა, საგუნდო ხელოვნება, მხატვრობა, საგანმანათლებლო, შემეცნებითი და სპორტული აქტივობები, საინტერესო შეხვედრები - ასეთია იმ ღონისძიებების ზოგადი ჩამონათვალი, რომელიც საზაფხულო–სკოლაში გაიმართა. წელს, პროექტს ახალი მიმართულება - არტ–თერაპია დაემატა, რომლის მიზანია ᲨᲨᲛ მოზარდების კომუნიკაციური უნარების, „მეს“ გაძლიერება, შინაგანი ბალანსის გაუმჯობესება. ამ მიმართულებით, პროექტში ჩართული იყო 4 მოზარდი. პროექტი, რომელიც წელს 2 ივლისს დაიწყო და სამ ეტაპად განხორციელდა, 3 აგვისტოს დასრულდა. პროექტში 50-მდე მოზარდი იყო ჩართული. ყველა მონაწილეს სიგელი და სიმბოლური საჩუქრები გადაეცა. ხელოვნების ცენტრის პროექტი - „ხელოვნების საზაფხულო სკოლა“, სკოლისგარეშე სახელოვნებო პროგრამების მეთოდიკითა და არაფორმალური განათლების ტექნიკის გამოყენებით, უკვე მეოთხე–წელია, საზაფხულო არდადაგების პერიოდში ხორციელდება და მასში მონაწილეობა უკვე 300-მდე მოზარდმა მიიღო.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

2024 წლის 7 აგვისტოს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ერთი საკითხის განხილვა

1. სენაკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბადრი კალანდარიშვილი, თანამომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი დონარა ალანია.

სხდომაზე, დამსწრე წევრების უმრავლესობის გადაწყეტილებით, სენაკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის ანგარიში დადებითად შეფასდა.

***

2024 წლის 12 აგვისტოს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

სხდომას, სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, გიგა წურწუმია უძღვებოდა.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ორი საკითხის განხილვა

1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის 2024 წლის პირველი და მეორე კვარტალში განხორციელებული ინფრასტრუქტურის სამუშაოების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

2. ა(ა) იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურეობის ცენტრის“ 2024 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

კომისიის წევრების უმრავლესობამ, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურისა და ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურეობის ცენტრის“ 2024 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობა დადებითად შეაფასა.

***

2024 წლის 16 აგვისტოს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ორი საკითხის განხილვა

1.სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 16 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თობაზე

2.სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 21 დეკემბრის №№18 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“

ორივე საკითხზე მომხსენებელი იყო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე საბა ოდიშარია.

***

2024 წლის 19 აგვისტოს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ერთი საკითხის განხილვა.

1. ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს 2024 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორი ანა ჭიჭალუა.

კომისიის სხდომაზე, დამსწრე წევრების გადაწყეტილებით, ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს 2024 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობა დადებითად შეფასდა.

***

2024 წლის 19 აგვისტოს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ოთხი საკითხის განხილვა.

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის განხილვის თაობაზე.

2. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის მოწვეული სპეციალისტის დინარა ხარბედიას, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობაში წევრად შეყვანის თაობაზე

3. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს, საგრანტო კონკურსი „ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის“ ფარგლებში კონკურსის გამოცხადების თაობაზე.

4. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ექსკურსიის ორგანიზება ბენეფიციართა დღის ცენტრისათვის „სიკეთე“.

ოთხივე საკითხზე მომხსენებელი იყო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მაოდგილე ინგა ქარდავა.

საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრებმა ოთხივე საკითხს ერთხმად უყარეს კენჭი.

ალექსი დემურია,
საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საინფორმაციო საკითხებში

საერთაშორისო ფესტივალი

წარმატებით მიმდინარეობს

მივესალმები რეგიონული თეატრების საერთაშორისო ფესტივალს, რომელიც საიუბილეო თარიღს – არსებობის მეათე წელს აღნიშნავს. მას უკვე გამორჩეული ადგილი უჭირავს ქართულ თეატრალურ ცხოვრებაში.

2015 წლიდან დღემდე, მრავალი გამოწვევის მიუხედავად, ფესტივალი წარმატებით მიმდინარეობს. ამ პერიოდში დიდი ურთიერთობები დამყარდა რეგიონების თეატრებს შორის, რამდენადაც ფესტივალების დაარსებამ გამოაცოცხლა რეგიონების კულტურული ცხოვრება, რისთვისაც მადლობას ვუხდით ფესტივალის დამფუძნებლებსა და ორგანიზატორებს.

მადლობას ვუხდი ჩვენს პარტნიორებს ფესტივალის მხარდაჭერისთვის – ფოთის მუნიციპალიტეტის მერიასა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.

რეგიონალური თეატრების საერთაშორისო ფესტივალსა და მის გუნდს კი ვულოცავ საიუბილეო თარიღს, ვუსურვებ საინტერესო შემოქმედებით საქმიანობასა და წარმატებებს.

თეა წულუკიანი,
საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი

ფესტივალის სტარტი სენაკიდან

რეგიონული თეატრების საერთაშორისო ფესტივალს, მის დამფუძნებლებსა და ორგანიზატორებს, გულითადად ვულოცავ საიუბილეო თარიღს – ფესტივალის დაარსებიდან 10 წლისთავს.

ფესტივალმა, თავისი მოღვაწეობის მანძილზე, პირუთვნელი ავტორიტეტი მოიპოვა და უმთავრეს მისიას – ქართული თეატრის განვითარების და მისი პოპულარიზაციის საქმეს რეგიონებში, წარმატებულად ახორციელებს.

ფესტივალის დღეები, რომელიც, ფაქტიურად, თეატრალური ცხოვრების დღესასწაულია, ადგილობრივ მაყურებელსა და ფესტივალის სტუმრებს აცნობს საქართველოს მაშტაბით მოღვაწე და უცხოეთიდან მოწვეული თეატრალური დასების შემოქმედებას, აახლოვებს თეატრლურ კოლექტივებს, ხელს უწყობს გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. ფესტივალის ფარგლებში გამართული მსოფლიოში ცნობილი თეატრმცოდნეების მასტერკლასები, მათი სასცენო ხელოვნების, სამსახიობო ოსტატობის ამაღლებას ემსახურება.

თეატრლური ტრადიციებით გამორჩეული სენაკისთვის, განსაკუთრებული მოვლენაა, ფესტივალის სტარტის აღება სენაკის ისტორიული თეატრიდან. ამ სიხარულს ჩვენს მაყურებელს ფესტივალი რამდენიმე დღით ჩუქნის და შემდგომ, სეზონს, ქალაქ ფოთში ასრულებს.

მიმდინარე წელსაც, ჩვენი ქალაქი დიდი პასუხისმგებლობით და ენთუზიაზმით ელოდება ფესტივალის დღეებს, რომელსაც სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის დასი ახალი სპექტაკლებით და საუკეთესო სიახლეებით შეუერთდება.

წარმატებებს ვუსურვებ ფესტივალის ორგანიზატორებს, მონაწილე დასებს, თითოეულ ადამიანს, ვინც ჩართულია, ხელოვნების ამ არაჩვეულებრივი დღესასწაულის მოწყობაში. გვიგულეთ თქვენს გვერდით, იმ უმნიშვნელოვანეს საქმეში, რასაც თეატრალური ხელოვნების განვითარება ჰქვია.

ვახტანგ გადელია,
სენაკის მუნიციპალიტეტის მერი

10 წლიანი გზა

2015 წლის ზაფხულში, როდესაც ქალაქ ფოთში რეგიონული თეატრების საერთაშორისო ფესტივალი დავაარსეთ, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ თეატრალურ საფესტივალო დიდ სივრცეში, მაშინ და დღემდე არარსებულ, განუმეორებელ ადგილს წარმატებით დავიმკვიდრებდით! ასეც მოხდა! და აგერ, უკვე, მე-10 წელია გვაქვს ფესტივალი, რომელშიც მხოლოდ რეგიონის თეატრები მონაწილეობენ. ამიტომაც, ეს, პირველ რიგში მათი ფესტივალია!

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც წლების განმავლობაში გვერდში გვედგა და გვეხმარებოდა ამ ლამაზი და მნიშვნელოვანი საქმის განხორციელებაში; მადლობა ნდობისთვის, სიყვარულისთვის, ერთგულებისთვის!

ჩვენ, ყველამ ერთად გავიარეთ ეს რთული და საინტერესო გზა და დღეს სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ უკეთესობისკენ შევცვალეთ რეგიონში თეატრალური ცხოვრება, რეგიონის თეატრისადმი და მსახიობებისადმი დამოკიდებულება!

განსაკუთრებული მადლობა თეატრის უჩუმარ არმიას, ვისაც მართალია, მაყურებელი ვერ ხედავს, მაგრამ ვისი დაუღალავი შრომის გარეშე ვერც თეატრი და ვერც ჩვენი ფესტივალი ვერ იარსებებდა; მადლობას ვუხდი ფესტივალის სტუმრებს – წლიდან წლამდე ჩვენს მეგობრებად რომ იქცნენ და მრავალფეროვნება შესძინეს საფესტივალო პროგრამას!

ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფის სახელით დიდ მადლობას გიხდით თანადგომისთვის და ერთად გატარებული ზაფხულის ლამაზი დღეებისთვის!

ნინელი ჭანკვეტაძე,
მსახიობი, ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი

საიუბილეო თარიღი

რეგიონული თეატრების საერთაშორისო ფესტივალს ვულოცავთ მე-10 საიუბილეო თარიღს.

ჩვენი, თეატრალური ქალაქისთვის საერთაშორისო ფესტივალი კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვან ღონისძიებად იქცა; გაიზარდა თეატრის ფუნქცია და მნიშვნელობა.

გვინდა მადლობა გადავუხადოთ კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდს „დღეს", რომელიც ძალისხმევას არ იშურებს ფესტივალის პოპულარიზაციისთვის. მადლობა ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელს ქალბატონ ნინელი ჭანკვეტაძეს, დირექტორს ბატონ თენგიზ ხუხიას და მთელ შემოქმედებით ჯგუფს.

წარმატებებს ვუსურვებთ ფესტივალის ორგანიზატორებს, თეატრალურ დასებს, გულშემატკივრებს, რომელთაც ფესტივალში ჩართულობით, უდიდესი წვლილი შეაქვთ ხელოვნების ამ უმნიშვნელოვანესი სფეროს განვითარების საქმეში.

ვახტანგ ნიკოლავა,
სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატრო ხელმძღვანელი

რეგიონალური თეატრების საერთაშორისო ფესტივალი 10 წლისაა

თეატრალური ტრადიციების განვითარებაში დიდი წვლილი შეაქვს რეგიონალური თეატრების საერთაშორისო ფესტივალს, რომელიც არსებობის ათ წელს ითვლის.

მე-10 საერთაშორისო ფესტივალის მხარდამჭერები, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად არიან სენაკისა და ფოთის მერიები. რეგიონალური ფესტივალი საიუბილეო წიგნის პრეზენტაციით გაიხსნა, საიუბილეო გამოცემის იდეის ავტორია ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი ნინელი ჭანკვეტაძე, აღმასრულებელი მენეჯერი ბექა ჯუმუტია, რედაქტორი შიო აბრახამია, კომპიუტერული გრაფიკა გიორგი შოთაძე.

წიგნის პრეზენტაციას უძღვებოდა კინომცოდნე ნანა თუთბერიძე. ქალბატონმა ნანამ მადლობა გადაუხადა ნინელი ჭანკვეტაძეს, რომელმაც ამ ფესტივალის დაფუძნებით უკეთესობისკენ შეცვალა რეგიონში თეატრალური ცხოვრება. პრეზენტაციაზე სიტყვებით გამოვიდნენ თეატრმცოდნე დოდო ხურცილავა, „თეატრალური იმერეთის" დამფუძნებელი და სამხატრო ხელმძღვანელი ლევან როხვაძე, თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილი, რეჟისორი, სცენარისტი ზაზა კოლელიშვილი, რეგიონალური ფესტივალის დირექტორი თენგიზ ხუხია და სხვები.

გამომსვლელებმა განსაკუთრებული მადლიერება გამოხატეს ფონდი „ქართუსა" და ბიძინა ივანიშვილის მიმართ, რომელთა დაფინანსებით სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა აკაკი ხორავას სახელობის პროფესიულ დრამატულ თეატრს. პრეზენტაციას ესწრებოდნენ სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ნანა ზარანდია, განათლების კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი გივი მისაბიშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები, თეატრალური სფეროს და საზოგადოების, რეგიონალური მედიების წარმომადგენლები.

კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და კულტსაგანმანათლებლო ფონდი „დღეს", თანადგომით გამოცემული საიუბილეო კრებული ფერადი ბეჭდვითაა, საილუსტრაციოდ გამოყენებულია თემატური ფოტომასალა, რომელიც ეკუთვნის ნიკო აბულაძეს, მიხეილ ბაგათელიას, გოჩა კუპრაძეს, წიგნში გამოყენებულია სოფო მამალაძის ნამუშევრები. პოლიგრაფიული ხარისხით გამორჩეულმა წიგნმა დამსწრე საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა.

ამავე დღეს ოც საათზე, სენაკის თეატრში, ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული დრამატული თეატრის მსახიობებმა მაყურებელს უჩვენეს „ქალი რეჟისორების მხარდამჭერი" კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული სპექტაკლი – „ლივ შტაინი".

27 ივლისს, თეატრალური ფესტივალის ფარგლებში გაიმართა გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის დასისა და დამოუკიდებელი თეატრალური კომპანია „გიენოსის" დასის სპექტაკლები. 28 ივლისს რეგიონალური თეატრების მეათე საერთაშორისო ფესტივალი სენაკში, ჩვენი სასახელო თეატრის დასის სპექტაკლით – „ჩიპოლინოს თავგადასავალით" დასრულდა, შემდეგ კი საფესტივალო დღეები ქალაქ ფოთში გაგრძელდა.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად მიიჩნევს რეგიონების თეატრების ხელშეწყობას და რეგიონებში კულტურული ცხოვრების გააქტიურებას.

ჩვენი გაზეთის სახელით ვულოცავთ ფესტივალის ყველა მონაწილეს რეგიონალური ფესტივალების ათი წლის იუბილეს!, ვუსურვებთ ახალ შემოქმედებით წარმატებებს. მართლაც რომ კარგი ტრადიციაა, რომელიც რეგიონის მოსახლეობას საშუალებას აძლევს გახდეს მნიშვნელოვანი შემოქმედებითი პროცესების მონაწილე.

მედეა ბაღათურია

შტრიხები თემის ცხოვრებიდან

ლეძაძამეს თემი გამორჩეულია თავისი ბუნებრივ-გეოგრაფიული მდებარეობით, რელიეფით, კლიმატით, ფლორა-ფაუნით, გნებავთ წარსულით, ისტორიით, მშრომელი, განათლებული, ტრადიციების პატივმდებელი ადამიანებით და ა.შ. ასე ნებისმიერი თემი შეიძლება დაახასიათო, უნდა დააკონკრეტოო - იტყვით და სამართლიანადაც. მეტსაც გეტყვით, მნიშვნელოვანი და საინტერესოც იქნება წარსულის ლაბირინთებიდან თითქმის მივიწყებული ეპიზოდების ამომზევება, მაგრამ თვითეული საკითხის გაშლა შორს წაგვიყვანს (ამაზე სხვა დროს შევჩერდებით) და დღევანდელი წერილის არსს ავცდებით. ისე თქვენი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებ-

ლად ცალკეულ ღირსშესანიშნაოებებზე მაინც გავაკეთებთ ხაზგასმას.

თემის ცნობილი ადამიანები: სოფელს მრავლად ჰყოლია და ჰყავს საქმით, ცხოვრება-შემოქმედებით გამორჩეული შვილები. ამ კუთხით ნიკო და შალვა დადიანების სახელის ხსენებაც საკმარისია, რომ გავიაზროთ რა ბუმბერაზი ადამიანების ოდაბადეა თემი.

ბეთლემელ (ბერთემი) ნიკო დადიანს, როგორც მისი შვილი შალვა ჩანაწერებში აღნიშნავს „საზოგადოებაში თანამედროვენი ეძახდნენ: „დიდი ნიკო“, „ნიკო ფილოსოფოსი“.“ ის იყო XIX საუკუნის საქართველოს ერთერთი უგანათლებულესი პიროვნება, ფლობდა ქართულ-რუსულ-ინგლისურ-ფრანგულ ენებს. ჰქონდა სამედიცინო სფეროს დიდი ცოდნა, იყო მთარგმნელი, პოეტი, მწერალი, დიდი ორატორი, კარგი მასწავლებელი, ერის ისტორიის დიდი მცოდნე, განათლებისა და ხელოვნების, საერთოდ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში გათვითცნობიერებული, ახალგაზრდობის მეგობარი და დამკვალიანებელი, ილია ჭავჭავაძის თანამოაზრე, „ვეფხისტყაოსნის“ტექსტის დამდგენი კომისიის წევრი და ა.შ. მას სახლში ჰქონდა დაწყებითი სკოლა გახსნილი და თანასოფლელთა შვილებს უსასყიდლოდ ასწავლიდა.

მამისგან განსხვავებით შალვა დადიანი აქტიურად იყო ჩართული თეატრალურ ცხოვრებაში, ეწეოდა სამსახიობო და სამწერლო საქმიანობას. ყავდა თავისი დასი. საქართველოს სახალხო არტისტი გარკვეული პერიოდი საქართველოს თეატრალურ საზოგადოებასაც თავმჯდომარეობდა, თან ნაყოფიერი შემოქმედებითი ცხოვრებით ცხოვრობდა.

კიდევ ერთი წინაპრის სულს მივაგებ პატივს და გავიხსენებთ კვაუთელ სტეფანე ძიმისტარიშვილს, რომელიც თანასოფლელთა გადმოცემით კვაუთის ეკლესიის შიგნითაა დაკრძალული. სტეფანე ყოფილა უაღრესად განსწავლული პიროვნება, შესანიშანავი კალმოსანი, პრესაში „კორტოხლის“ ფსევდონიმით ცნობილი, იგი წლების მანძილზე სენაკის სასულიერო სასწავლებელში მოღვაწეობდა.

თემის მნიშვნელოვანი ნიშანსვეტები: ჯგემარიონი, ყოფილი საკავშირო მნიშვნელობის ბანაკი, ზიპლაინი, თოკების პარკი, კვაუთის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესია, ასევე მრავაწლოვანი სამკურნალო აბანო კვაუთში და ა.შ.

თემის სავიზიტო ბარათი-მდინარე ტეხურაა, რომლის მიერ ორად გაყოფილი თემის გაღმა-გამოღმა ხეობა იმდენად ეგზოტიკური, ფერადოვანი, ჰაეროვანი, ხალხმრავალი...გახლავთ, რომ ზღაპარში გეგონებათ თავი. აქ შეიძლება მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან შეხვდე ტურისტს, ასევე ადამიანებს ოჯახებით, რომლებიც სამუშაოდ თუ საცხოვრებლად სხვაგან გადავიდნენ, ისინი დროის ამ მონაკვეთში დასასვენებლად სტუმრობენ თავიანთ ოდაბადეს, ამიტომ ზაფხული თემისთვის ყველაზე საუკეთესო სეზონია, რადგან სტუმარ-მასპინძელთა ჩახუტება, მოფერება, მდინარის სანაპიროზე შეკრება, ბანაობა, ახალგაზრდების შეჯიბრი-ვინ უფრო მაღალი ადგილებიდან გადმოხტება და გაცურავს, ჭიაკოკონობა, ბურთაობა, ბერთემიდან ექსტრემის მოყვარულებს ტეხურის ხეობაში, ე.წ. „გოჭიფეს“ კანიონში მოგზაურობა, ეგზოტიკა და ემოცია... მხოლოდ ამ სეზონზეა შესაძლებელი. შემდეგ კი ჩამოსულთაგან ნელნელა იცლება თემი და გრჩება უსაშველო ნოსტალგია, რომელიც დღევანდელობის საერთო სენია.... ესაა სოფლის დაცლის პროცესი, მიგრაცია, დემოგრაფიული მდგომარეობა... არადა დღეის მდგომარეობით სოფლების აღორძინება-განახლების, კეთილმოწყობის პროცესი შეუქცევადია. ბოლო წლებში ლეძაძამეში არაერთი მასშტაბური პროექტი განხორციელდა. თუ რა გაკეთდა და კეთდება, რას უნდა ველოდეთ მომავალში- ამაზე გვესაუბრება თემში მერის წარმომადგენელი.

რომანოზ ჯოჯუა-მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ლეძაძამეს თემში

მინდა ამ თავითვე გითხრათ, რომ არა მერიისა და საკრებულოს საქმეზე კოორდინირებული, ხალხის კეთილდღეობაზე ორიენტირებული საქმიანობა, ასეთი მასშტაბის წინსვლა არ გვექნებოდა. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც ჩვენი თემი, სადაც უამრავი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა. არ მახსენდება საკითხი თემს გადასაწყვეტად წამოეჭრას და მერიის ახალგაზრდა გუნდს მის მოგვარებაზე არ ეზრუნოს. საილუსტრაციოდ ერთ ფაქტს გავიხსენებ. ერთი წლის წინ უხვმა ნალექმა მდინარე ტეხურა იმდენად აადიდა, რომ სამანქანე ხიდი წალეკა. გაღმა სოფელი მოწყდა ცენტრალურ ნაწილს, ბავშვები, მასწავლებლები სკოლას, შეიქნა სირთულეები, აღდგენითი სამუშაოების მასშტაბიდან გამომდინარე პრობლემის მოგვარება მოკლე დროში შეუძლებელი ჩანდა, მაგრამ ადგილობრივი თუ რეგიონული ხელისუფლების წარმომადგენლების მყისიერი ჩართულობით აღნიშნულ ლოკაციაზე ხიდი რამდენიმე დღეში აღდგენილ იქნა. ჩემს ნათქვამს ყველაზე უკეთ თემში შესრულებულ პროექტთა რაოდენობა ამყარებს.

თავიდან ბოლო წლებში განხორციელებულ იმ პროექტებს გაგაცნობთ, რომელთა სამუშაოები უკვე დასრულებულია: ბეთლემში -ლეკირცხალიეს უბანში, ლესაჯაიეში, კვაუთში, ჯოლევის უბანში დამთავრებულია გზების ასფალტირება, გარკვეულ ადგილებში კი ბეტონის საფარის დაგება, ასევე დასრულებულია ლეძაძამესა და ბეთლემის ცენტრალურ ნაწილში სკვერების მოწყობა. შემოისაზღვრა სკვერის ტერიტორია და ორივეგან კეთილმოეწყო თითოეული მათგანი. აქვე გაკეთდა მინი სპორტული მოედანი განათებით. ლესაჯაიეს უბანში ცენტრალურ ნაწილში-ნოქალაქევი-დიდი ჭყონის მეათე-მეთერთმეტე კილომეტრზე დასრულებულია მეწყერული გზის მშენებლობა (შემსრულებელი შპს „ბესკო“). განსაკუთრებით გამოვყოფ სოფლის გაზიფიცირების საკითხს, ასევე ინტერნეტიზაციას, რომელიც ახლა ხორციელდება. ასევე ინტენსიურად მიმდინარეობს 50 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის მშენებლობა(მშენებელი კომპანია „დაგი“). რაც შეეხება ამჟამად მიმდინარე სამუშაოებს: ბეთლემის უბანში უკვე მოეწყო მდინარე ტეხურზე, ყოფილი ბანაკის მიმდებარედ გაბიონი. ლეცეკვეს უბანში გრძელდება ბეწვის ხიდის ბურჯების გამაგრება, ლებაღათურიეს უბანში ხიდბოგირის მოწყობა, ლეკირცხალიეში-მდინარე გურძემიაზე ბეწვის ხიდის გამართვა (სამუშაოებს ასრულებს შპს „აფო“), ასევე მოკლე დროში დაიწყება ლეგოგიეს უბანში გზის ასფალტირება.

რაც შეეხება „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ დაგეგმილ პროექტებს ესენია:სოფელ ლეძაძამეში ომში დაღუპულ მეომართა მემორიალის მოწყობა, ლესაჯაიეში წმინდა ბარბარეს ეკლესიასთან მისასვლელ გზაზე ბეტონის საფარის დაგება, ბერთემში მდინარე გურძემიაზე ბეწვის ხიდის რეაბილიტაცია და გარე განათების მოწყობა, ლებაღათურიეს უბანში მილხიდის მოწყობა. ახლო მომავალში იგეგმება მდინარე ტეხურზე სამანქანო ხიდის მშენებლობაც.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზემო დასახელებული პროექტების დაგეგმვა ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობით მოხდა, ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება და თემისთვის სხვა პრიორიტეტული საკითხებიც მიზანმიმართული მუშაობით გადაიჭრება.

თემის მაცხოვრებლებსაც გავესაუბრეთ, რომლებმაც თავიანთი ხედვები დაფიქსირეს:

შორენა ბარქაია- დიდი ოჯახის დედა ვარ, 7 შვილი მყავს, მოგეხსენებათ მცირეწლოვნებს როგორი მზრუნველობა ჭირდება საკვების მომზადებიდან დაწყებული სარეცხით დამთავრებული, სანამ სოფლის გაზიფიცირება მოხდებოდა, ძალიან ვწვალობდი, განსაკუთრებით ზაფხულში, როცა თაკარა მზეა და ცეცხლი უნდა დაანთო, პური გამოაცხო, კერძები მოამზადო, ცალკე დიდებისთვის თუ ცალკე პატარებისთვის, დარეცხო, დაასაუფთავო და ასე შემდეგ. სულ ცეცხლთან უნდა იტრიალო. გაზიფიცირების შედეგად ამოვისუნთქეთ. ხარჯიც ნაკლები გვაქვს. შეშის ყიდვა-დამუშავება ძვირი გვიჯდებოდა. არ დავიღლები ამ კარგი საქმის მოთავეებისა და განმხორციელებლების მიმართ მადლიერების გამოხატვით.

ბესარიონ ჯოჯუა-სოფლისთვის ყოველთვის იყო და იქნება პრიორიტეტული გზის გამართვა და კეთილმოწყობა. ჩვენს თემში უამრავი ამორტიზებული გზა იყო, სადაც ცუდ ამინდში, განსაკუთრებით ზამთარში გადაადგილება შეუძლებელი ხდებოდა. ამჟამად თემის უმეტესი ნაწილი ასფალტირებულია, განსაკუთრებული სიმძიმის ადგილები კი ბეტონირებული. მადლობას ვუხდით სააქციო საზოგადოება „არქეოპოლისს“ ასეთი კომფორტაბელური გზის მოწყობისათვის.

ნანა გოგია - რაც თავი მახსოვს ჩვენი გზა სულ პრობლემური იყო, მას არაერთხელ ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები, მდინარის კალაპოტიც კი შეცვალეს, მაგრამ უშედეგოდ, მიწის დაბზარვა და ჩამოქცევები სულ გრძელდებოდა. მხოლოდ მიმდინარე წელს გახდა შესაძლებელი გზის ამ მონაკვეთის კაპიტალური შეკეთება, რომელიც მართლაც მაღალ პროფესიულ დონეზე შეასრულა კომპანია „ბესკომ“ და გვიხსნა ამ მოუგვარებელი პრობლემისგან. აღნიშნულმა კომპანიამ ადგილობრივებიც დაასაქმა და შემოსავლის წყაროც გაუჩინა, რისთვისაც მადლობა მას. კეთილმოწყობილმა გზამ ჩვენი უბანი საოცრად დაამშვენა.

მოგეხსენებათ განვითარება მის უწყვეტობაშია. დარწმუნებული ვართ მომავალში კიდევ ბევრი პროექტი დაიგეგმება და განხორციელდება, რაც უფრო კეთილმოწყობილსა და მიმზიდველს გახდის ჩვენს თემს.

ნინო სართანია

ის ჩვენია

ლაშა ტალახაძემ „გრავიტაციულ ველს“ სილა გააწნა, მან დაარღვია მიზიდულობის კანონი!

შენ ისევ დაამარცხე კ რ ო ნ ო სი, მასზე გამარჯვებით ოლიმპიადა აქციე ძლევის სიმბოლოდ, დაასწარი „ჰელიოს“ სრულ გამოღვიძებას და ოლიმპიური ჩირაღდანი აანთე თითოეული ქართველის გულებში!!!!

ეს არ არის მხოლოდ სპორტი, ეს კიდევ უფრო დიდი რამაა -- ლაშამ დაგვიბრუნა „ოქროს საწმისი“! საერთაშორისო არენაზე აღადგინა საქართველოს ისტორიული სამართლიანობა!!!... სპორტში, ხელოვნებაში, ზოგადად ინტელექტშია ჩვენი ძალა!!!

სპორტსმენი? უბრალოდ“ „არ ძალმიძს ღმერთების ქება“, მას ტიტანების მძლეველ ოლიმპიელთა რიგებს თუ მივუზმანებ, რაც მითოლოგიურ პანთეონში გვამოგზაურებს... პიროვნება? სამწუხაროდ პირადად არ ვიცნობ“, ერთი შეხედვით, პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული, განონასწორებული, სასიამოვნოდ მეტყველი ადამიანი, რომელიც სცდება თავისი პიროვნული ავტონომიის ფარგლებს - თავისი თავი არ ეკუთვნის, ის ჩვენია, მას საქართველო გააქვს საერთაშორისო „სამსჯავროზე“, საპატიო წარმომადგენელია თითოეული ჩვენთაგანის... ყოველი ჩვენგანის სახელით ქვეყანა გამარჯვებით აყავს ოლიმპიურ კვარცხლბეკზე...

ისტორიული გამარჯვება

სენაკის მუნიციპალიტეტი, სხვადასხვა დროში, მისი სამართლებრივი მოწყობის განსხვავებული ფორმებით, ოდითგან წარმოადგენდა საქართველოს სახელმწიფოს ერთიანი ოჯახის ერთ-ერთ მნიშვნელოვან აგურს, რომელიც გარკვეულ როლს თამაშობდა ქვეყნის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, სამეცნიერო, კულტურულ, სპორტულ ცხოვრებაში. ჩვენი პატარა და ამაყი ქალაქის, სენაკის მატეანე აღმოაჩენს და მოგვითხრობს თითოეული იმ „ჯარისკაცის” შესახებ, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს ისტორიის შექმნაში...

სწორედ სულ რაღაც დღეების წინ - 30 ივლისიდან 2 აგვისტოს ჩათვლით, ჩვენი მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების რიგითმა რაინდებმა - თექვსმეტწლამდელთა საკალათბურთო გუნდ „სენაკის“ კალათბურთელებმა, ისტორიულ მეხსიერებას შესძინეს კიდევ ერთი დასამახსოვრებელი თარიღი - ქალაქის არსებობის მანძილზე პირველად გახდნენ საერთაშორისო საკალათბურთო ტურნირის გამარჯვებულები, რომელიც გაიმართა ბულგარეთის ქალაქ ბურგასში.

არც ერთი მოვლენა ბუნებაში ისე უბრალოდ არ ხდება, ყოველი მათგანის უკან დგას რაღაც ენერგია, რომელიც წარმოიქმნება გარკვეული კანონზომიერების ძალით. სწორედ აღნიშნული წარმატების უკანაც დგას ის ძალა, რომელიც განსახიერდება ნიჭში, შრომისმოყვარეობაში, თავდადებაში, საქმისადმი სიყვარულში, იღბალში და ა.შ.

სანამ ზემოაღნიშნულ საერთაშორისო ტურნირნირის პერიპეტიებზე ვისაუბრებდეთ, მინდა ორიოდ სიტყვით შევეხო გუნდის წარსულ გზას - სენაკის მუნიციპალიტეტის საკალათბურთო გუნდი „სენაკი“, აქტიურ სპორტულ ასპარეზზე გამოვიდა 2023 წელიდან - ის სხვადასხვა დროს მონაწილეობდა რეგიონალურ, თუ საქართველოს მაშტაბის ტურნირებზე – „მემორიალურ შეჯიბრებებში“: რაჭა-ლეჩხუმში, იმერეთში, სენაკის მუნიციპალიტეტში (კოკა ნარმანიას სახელობის), სადაც უპირობო გამარჯვებებს მიაღწია . . . გუნდის ერთ-ერთ მამოძრავებელ ბურჯს წარმოადგენს მისი ენერგიული მწვრთნელი, ბატონი შოთა კუჭავა, ის სენაკის მკვიდრია, მან ათი წლიდან გადადგა პირველი ნაბიჯები საკალათბურთო ასპარეზზე, თექვსმეტი წლიდან ჩაირიცხა კლუბ „სოხუმში“, სადაც, 2013-14 წლებში გახდა ჯერ ვიცე ჩემპიონი და შემდეგ ჩემპიონი იუნიორთა შორის გამართულ ქვეყნის პირველობაზე. ასევე თამაშობდა თსუ-ში, მონაწილეობა აქვს მიღებული ტურნირ სოხუმის უნივერსიადაში, 2020 წლიდან დაიწყო აქტიური სამწვრთნელო კარიერა სენაკის მუნიციპალიტეტის საკალათ-

ბურთო გუნდ -“სენაკში“ მთავარ მწვრთნელად.

ბატონ შოთასთან გასაუბრებისას მან მოგვაწოდა მნიშვნელოვანი ინფორმაცია ბულგარეთში გამართულ საერთაშორისო ტურნირთან დაკავშირებით, ისაუბრა მიღწეული წარმატების მთავარ მოტივაციაზე, სადაც აღნიშნა, რომ ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირზე წარმატების მთავარ მოტივატრს წარმოადგენდა ჩვენი სიძლიერის, შესაძლებლობების დამტკიცება, როგორც ქალაქის, ისე ქვეყნის აუდიტორიისთვის - რომ ჩვენ ეს შეგვიძლია, არ ვართ რიგითი გუნდი, გვაქვს საერთაშორისო მწვერვალების დალაშქვრის პოტენციალი, რაც დამტკიცდა კიდეც. ასევე მან ისაუბრა მომავლის პერსპექტივებზე და საჭიროებებზე - ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირზე გამარჯვებით დავასრულეთ მოღვაწეობის რაღაც ეტაპი, გუნდი ავიყვანეთ განვითარების შემდგომ სტადიაზე, ვიმედოვნებთ, მომავალში განხორციელდება სატრანსფერო ღონისძიებები - მოთამაშეები გადავლენ სათამაშოდ სხვა უფრო დიდი შესაძლებლობების გუნდებში, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ და კარიერულ ზრდას, გუნდს მიღწეული წარმატებების კიდევ უფრო გასანვითარებლად სჭირდება მყარი და უფრო მოქნილი ინფრასტრუქტურა (საკალათბურთო მოედნები, დარბაზები და ა.შ.).

რაც შეეხება, ამ ტრიუმფალურ ბულგარეთის საერთაშორისო საკალათბურთო ტურნირს, აღნიშნული მწვერვალისთვის, ჩვენს ბიჭებს, ისე მარტივად არ დაუდგამთ ფეხი, ჯერ გაიარეს გარკვეული არაფორმალური ეტაპი ტურნირამდე მისასვლელად - სენაკის მუნიციპალიტეტის გუნდ „სენაკი“ -ის, იუნიორთა შორის ქვეყნის ჩემპიონატის „ბ“ ლიგაში წარმატებით მონაწილეობის შედეგად ის კვალიფიცირდა „ა“ ლიგაში, რამაც განაპირობა გუნდის პოპულარიზაცია, მათ შორის ქვეყნის გარეთ – მიიღეს მოწვევა ბულგარეთიდან, კალათბურთის

საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად, რომელშიც მონაწილეობდა ოთხი გუნდი, მათ შორის ორი ადგილობრივი კლუბი: „დელფინი“, „ჩერნომორეცი“ და ერთი ბელორუსული კლუბი - „მინსკი“ .

ტურნირი, თავისი მაშტაბებიდან გამომდინარე, მეტად დაძაბული და მოტივაციური აღმოჩნდა გუნდ „სენაკისთვის“ - პირველი ორი თამაში გაიმართა ადგილობრივ კლუბებთან: „ჩერნომორეცი“, „დელფინი“, სადაც ბიჭებმა გაიმარჯვეს და დაწინაურდნენ ბელორუსიის კლუბ „მინსკთან“ ერთად ფინალში მონაწილეობის მისაღებად. ფინალი, თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე მეტად დაძაბული და აზარტული გამოვიდა, კალათბურთელებმა, მწვრთნელის - შოთა კუჭავას ხელმძღვანელობით და თავდაუზოგავი ბრძოლით, წარმატებას მიაღწიეს - სძლიეს ფინალისტ ბელორუსულ კლუბ „მინსკს“ ანგარიშით - 66-54-ით და დაეუფლნენ ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირის თასს...

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მატერიალური, ტექნიკური, ფორმალური და მორალური მხარდაჭერით, გუნდ „სენაკის“ მწვრთნელის, შოთა კუჭავას თავკაცობით, გუნდის წარმატებაში თავიანთი წილი თავდადება შეიტანეს მონაწილე კალათბურთელებმა: გუნდის კაპიტანმა – საბა მოსიძემ, ლუკა ჩიქობავამ, აკაკი კიკვაძემ, ვალერი პაპასკირმა, საბა შენგელიამ, გაბრიელ ქანთარიამ, გიორგი გაბედავამ, ნიკოლოზ ჭანტურიამ, სანდრო სანაიამ, ნიკოლოზ შენგელიამ, ალექსი ჩოჩიამ, გიორგი ლაშქარავამ, გაბრიელ ჟვანიამ.

აღნიშნულ ტურნირზე წარმატების შთაბეჭდილების კიდევ უფრო მეტად გადმოსაცემად გავესაუბრეთ გუნდის პერსპექტიულ კალათბურთელებს:

საბა მოსიძე (გუნდის კაპიტანი) - მან საერთაშორისო ტურნირზე მიღწეულ წარმატებებზე საუბრისას აღნიშნა -

განსაკუთრებული ტურნირი იყო თავისი მაშტაბებით - ტექნიკური, ფიზიკური, ფინანსური შესაძლებლობებით, ის, რა თქმა უნდა, უფრო დიდ კონკურენტუნარიან არენას წარმოადგენდა თავის წარმოსაჩენად. რაც შეეხება მოტივაციას, აღნიშნა რომ - მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო გვესახელებინა მშობლიური ქალაქი, ოჯახი და ზოგადად საქართველო... კონკრეტულად ტურნირმა საბას, ფსიქოლოგიური და ფიზიკური შესაძლებლობების კუთხით, შესძინა გამოცდილება. საბა ასევე სახავს მომავლის პერსპექტივებს, ის შემართებით ემზადება შიდა ჩემპიონატისთვის, რათა თავის თავს კიდევ უფრო მეტად შემატოს რწმენა, საერთაშორისო ასპარეზზე მომავალი მწვერვალების დასაპყრობად ..

ლუკა ჩიქობავა (პერსპექტიული კალათბურთელი) –

ბულგარეთში გამართულ საერთაშორისო საკალათბურთო ტურნირში მონაწილეობდნენ საკმაოდ ძლიერი გუნდები, რამაც შეჯიბრებაზე შესაბამისი კონკურენცია წარმოშვა, გვქონდა დაძაბული თამაშები, მაგრამ ბუნებრივია, თავისი აქტუალურობიდან გამომდინარე, განსაკუთრებული სირთულით გამოირჩეოდა ფინალური მატჩი ბელორუსულ კლუბ „მინსკთან“, სადაც დრამატულ ბრძოლაში ვძლიეთ მათ, ანგარიშით - 66-54 და დავეუფლეთ ტურნირის თასს. მოტივაციასთან დაკავშირებით, ლუკამ აღნიშნა, რომ წარმატების მთავარ მოტივატორს წარმოადგენდა ჩვენი სიძლიერის, შესაძლებლობების დამტკიცება, როგორც ქალაქის, ისე ქვეყნის და ზოგადად ტურნირის აუდიტორიისთვის. გამოცდილებასთან დაკავშირებით, საუბრისას განაცხადა - შეგვძინა ფსიქოლოგიური, ტექნიკური უნარები, ასევე ვეზიარეთ, ადრე არსებულისგან განსხვავებულ, საკალათბურთო ტურნირს...

ლუკამ, ასევე ისაუბრა მომავალ პერსპექტივებზე - მისთვის ამ ტურნირის ერთ-ერთ მთავარ მონაპოვარს წარმოადგენს ის, რომ მან მოწვევა მიიღო „ესპანეთის საკალათბურთო აკადემიიდან“ და ემზადება დიდ საკალათბურთო ოჯახში შესასვლელად.

წარმატებებს ვუსურვებთ მას ამ მეტად საამაყო და ამავე დროს საპასუხისმგებლო გზაზე!

გაზეთ „კოლხეთის“ სახელით გვინდა მადლობა გადავუხადოთ ამ წარმატების თითოეულ შემოქმედს - უშუალოდ ტურნირის მონაწილეებს, ტექნიკურ ჯგუფს, ქალაქის მერს, მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებს, ყველას, ვინც პირდაპირ, თუ ირიბად მონაწილეობდა ამ მეტად მნიშვნელოვანი მწვერვალის დალაშქვრაში. სენაკის საკალათბურთო გუნდს - „სენაკს“ ვუსურვოთ შემდგომი წარმატებები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე გამართულ შეჯიბრებებში, ვინაიდან მათი თითოეული წარმატება პირდაპირპროპორციულია ქალაქის, ქვეყნის და ზოგადად სპორტის წინსვლისა.

გვერდი მომზადა
გიორგი გარუჩავამ

ჩემი საყვარელი ლექსი

თოთხმეტ ივლისს, სენაკის საჯარო ბიბლიოთეკაში ჩატარდა პოეზიის საღამო - „ჩემი საყვარელი ლექსი", რომლის ინიციატორები იყვნენ ბიბლიოთეკების კოორდინატორი სენაკის მუნიციპალიტეტში, ლაშა ჭანტურია, სენაკის საჯარო ბიბლიოთეკა და სენაკის ახალგაზრდობის ცენტრი.

სენაკის საჯარო ბიბლიოთეკაში არაერთი ლამაზი საღამო და შეხვედრა ჩატარებულა, მაგრამ თოთხმეტი ივლისის ღონისძიებას გამორჩეული ხიბლი შესძინა ჩვენი თანაქალაქელის, ნიჭიერი ახალგაზრდის, ლაშა ჭანტურიას მიერ სხვა რაკურსით მომზადებულმა კომპოზიციამ. ლექსს თან სდევდა მუსიკალური ნომრები, ბიბლიოთეკასთან არსებული ტრიოს (ნაირა ფოფხაძე, ბიჭიკო თუნთია, თემურ ცხაკაია) შესრულებით, მუსიკალური ნომრები შეასრულა აგრეთვე, გიტარასა და ფორტეპიანოზე ლაშა ჭანტურიამ.

საღამო მიჰყავდა საჯარო ბიბლიოთეკის სპეციალისტს ლუიზა

კემულარიას. პოეზიის საღამოს პირველ ნაწილში ჩართული იყვნენ, როგორც ქალაქის საჯარო ბიბლიოთეკის, ასევე სოფლებისა და თემების ბიბლიოთეკების ბიბლიოთეკარები, მკითხველები. ქართველი პოეტების და საკუთარი, ასევე მეგრულენოვანი ლექსები წაიკითხეს ახალსოფლის რწმუნებულმა რიმა ბოჯგუამ, საბავშვო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარმა ნინო გვასალიამ, ფოცხოს თემის ბიბლიოთეკარმა ლალი დემურიამ, მკითხველებმა ნოსირიდან და თეკლათიდან: ანა კილასონიამ, ანა და მარიამ კირტავებმა; ნოქალაქევის, უშაფათის ბიბლიოთეკარებმა: თეა ქომეთიანმა, იზა ხუნწარიამ.

ღონისძიების მეორე ნაწილი მრავალფეროვანი გახადა დარბაზის ჩართულობამ. საკუთრი და ქართველ კლასიკოსთა ლექ-

სები წაიკითხეს: ბორის დავითაიამ, ლანდა მასხულიამ, როზეტა გულუამ, დამირ კუჭავამ, ნანა თავართქილაძემ, მედეა ჯაიანმა. ღონისძიებას მაღალი შეფასება მისცეს მანანა ჭანტურიამ, პაატა ქურდოვანიძემ და სხვებმა.

პოეზიის საღამოს ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე საბა ოდიშარია, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლევან უჩანეიშვილი, საკრებულოს წევრები, ახალგაზრდობის ცენტრის მუშაკები, ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლები, მედიასაშუალებათა ჟურნალისტები, ამჟამად დედაქალაქში მცხოვრები სენაკელები.

ღონისძიებას ლეიტმოტივად გასდევდა ლექსისა და სიმღერის სიყვარული-,აღინიშნა რომ პოეზია, პოეტობა ღვთისაგან ბოძებული ნიჭია, რომელსაც თან ახლავს შრომა, გულწრფელობა, გრძნობები.

ღმერთმა უმრავლოს ჩვენს ქალაქს ნიჭიერი ახალგაზრდები და ლამაზი საღამოები.

მ. ეჯიბია

ჩვენი მიზანია ფოლკლორის ძველი ნიმუშების აღდგენა-გაცოცხლება

დღეს ჩვენი სტუმრები არიან მუნიციპალიტეტში არსებული ფოლკლორული ანსამბლების ხელმძღვანელები ლალი გოგია და დიმიტრი კაკულია. ფოლკლორული საწყისებიდან გამომდინარე მათთან ჩვენი საუბარი უფრო მეტად საინტერესოა. ფოლკლორი ხომ ხალხური შემოქმედების აღმნიშვნელი ტერმინია და გულისხმობს სხვადასხვა ხალხთა ტრადიციულ შეხედულებებს, რწმენა-წარმოდგენებს, წეს-ჩვეულებებს, თქმულებებს, რომლის ცოდნა დაუწერელი სახით, ზეპირსიტყვიერად ვრცელდებოდა და გადაეცემოდა თაობიდან თაობას.

ანსამბლმა „მუსიკელმა" სახელი გაითქვა როგორც საქართველოში, ასევე მის ფარლგებს გარეთ. წელს მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსებით მან საგასტროლო ტურნეები მოაწყო ევროპის რამდენიმე ქვეყანასა და ბალტიისპირეთში. 2022 წელს იგი ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის ერთ-ერთი გამარჯვებული იყო. ანსამბლის წევრები არიან დიმიტრი კაკულია, ირაკლი ლაკია, მალხაზ ხუნწარია, უშანგი ჩილაჩავა, ილია ცომაია, რატი სარია.

უფრო ვრცლად ანსამბლის შესახებ მოგვიყვება ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სენაკის სალოტბარო სკოლის ხელმძღვანელი, იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძრის რეგენტი, წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის ხალხური სიმღერისა და გალობის პედაგოგი, დიმიტრი კაკულია

აი რა გვიამბო მან - „ჩვენი ანსამბლი „მუსიკელი" 2019 წლის 9 ოქტომბერს შეიქმნა. სახელი ჩემმა გალობის უნივერსიტეტის ყოფილმა ლექტორმა, ქალბატონმა მაგდა სუხიაშვილმა, შეგვირჩია. სახელწოდება მუსიკელი ცნობილი სასულიერო მოღვაწისა და ფილოსოფოსის იოანე პეტრინის ტექსტებში გვხვდება. იმ დროის მუსიკოს-მგალობლებს ამ ტერმინითაც მოიხსენიებდნენ. ანსამბლის შექმნამდე რამდენიმე წელი ვმღეროდით ანსამბლ „სენაკში", რომლის გაუქმების შემდეგ დაახლოებით 2 წელი ვიყავით ანსამბლის გარეშე, თუმცა სიმღერა არ შეგვიწყვეტია და არაფორმალურ გარემოში მაინც ვახერხებდით ერთად მღერას. უფრო ადრე კი ანსამბლ „ეგრისში" ვმღეროდით (ნაწილი მუსიკელის შემადგენლობიდან), რომლის ხელმძღვანელი ბატონი თემურ ცხაკაია გახლდათ და სადაც პირველად ვეზიარეთ ხალხურ სიმღერას, რისთვისაც მადლობას ვუხდით მას და ეგრისის უფროსი თაობის მომღერლებს. მუსიკელის წევრთა ნაწილი სენაკის წმ. იოანე ნათლისმცემლის შობის სახ. საკათედრო ტაძარში ვგალობთ. ჩემი შეხება მუსიკასთან საკმაოდ გვიან, 24 წლის ასაკში, სწორედ გალობით დაიწყო. წელიც და თვეც მახსოვს - 2007 წლის ივნისი. ჩვენი რეგენტი მალხაზ ჭანტურია (მამა მალხაზი) გახლდათ, რომელის მეცადინეობითაც ვისწავლეთ წირვის საგალობლების სადა კილო. ფაქტიურად ეკლესიაში გალობამ, აგრეთვე ანსამბლმა „ეგრისმა" შეგვახვედრა და გაგვაცნო ერთმანეთი.

ჩვენი ანსამბლის ძირითადი მიზანი გახლავთ ძველი, მივიწყებული მეგრული სასიმღერო ფოლკლორის ნიმუშების აღდგენა-გაცოცხლება და ფართო მსმენელის წინაშე წარმოდგენა. გარდა მეგრულისა, ჩვენ თითქმის საქართველოს ყველა კუთხის სასიმღერო ფოლკლორს ვეხებით და ვსწავლობთ. შესწავლის ძირითადი წყარო გახლავთ ძველი ფონო ჩანაწერები, რომელიც მრავლად არის შემონახული. მუსიკელს ასევე აქვს ქალაქური სიმღერის მიმართულება, რომელსაც ირაკლი ლაკია ხელმძღვანელობს. მუსიკელმა თავისი არსებობის არც თუ ისე დიდი ხნის მანძილზე მოასწრო არაერთ ფესტივალში, კონკურსში, სატელევიზიო გადაცემასა თუ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბოლო 2 წლის განმავლობაში განხორციელებული წარმატებული საგასტროლო ტურნეები: 26 თებერვლიდან 5 მარტის ჩათვლით ვიყავით მიწვეული ლატვიასა და ლიეტუვაში. კონცერტები გავმართეთ რიგაში, ვალმიერასა და ლიგატნეში (ლატვია), ასევე ვილნიუსსა და კაუნასში (ლიეტუვა).

27 თებერვალს კი ლატვიის ქართველთა საზოგადოება „სამშობლო"-ს მიწვევით კონცერტთან ერთად შეხვედრა გავმართეთ ლატვიის ქართულ დიასპორასთან. ასევე მიწვეული ვიყავით რიგის ერთ-ერთ ტელევიზიაში. კაუნასში გვქონდა გაცნობითი შეხვედრა ვილნიუსში არსებულ ქართულ ანსამბლთან „ფესვები", ივნისის თვეში გერმანიის ქალაქ შტუტგარტში მონაწილეობა მივიღეთ Georgischer Musikverein Stuttgart-ის ორგანიზებით ჩატარებულ ქართული ტრადიციული კულტურის ფესტივალში, გარდა ამისა ვიყავით გაერთიანებულ სამეფოში, გერმანიაში, ბელგიაში, ჰოლანდიაში. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, მიმდინარე წლის ნოემბერში გვაქვს დაგეგმილი საგასტროლო ტურნე ფინეთში, ესტონეთში, ლატვიასა და ლიეტუვაში, რისთვისაც ინტენსიურ მზადებას სექტემბრის შუა რიცხვებიდან შევუდგებით.

აღსანიშნვია ის ფაქტი, რომ სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ გადელია და მერის მოადგილე ნანა ზარანდია

შეგვხვდნენ ანსამბლის წევრებს, მადლობა გადაგვიხადეს მრავალწლიანი აქტიური შემოქმედებითი საქმიანობისა და საგასტროლო ტურნეებზე მოპოვებული აღიარებისთვის, ვისაუბრეთ სამომავლო გეგმებზე და წარმატებები გვისურვეს.

ანსამბლის სახელით მადლობას ვუხდი ჩვენი მუნიციპალიტეტის მერიას, მერს, ბატონ ვახტანგ გადელიას, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრს მხარდაჭერისა და გვერდში დგომისათვის".

მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრთან არსებული ანსამბლი „გოგალაი" დაარსებიდან დღემდე აქტიურად მონაწილეობს საქართველოში გამართულ თითქმის ყველა ფოლკლორულ ფესტივალში, არაერთხელ წარდგა წარმატებით უცხოელი მსმენელის წინაშე. გვესაუბრება ანსამბლის ხელმძღვანელი ლალი გოგია.

წარჩინებით დამთავრებული მაქვს სოხუმის დ.არაყიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის გიტარისა და ხალხური საკრავების ფაკულტეტი. აფხაზეთში განვითარებული საომარი მოქმედებების გამო 1992 წელს მოგვიწია ტყვარჩელის დატოვება და სენაკში გადმოსვლა. 2003 წელს დავამთავრე სოხუმის ც.დადიანის სახ-ის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტის „დაწყებითი პედაგოგიკის ფაკულტეტი, მაგრამ ჩემი ძირითადი პროფესია მაინც მუსიკაა, ეს არის ის, რაც ძალიან მიყვარს და ჩემია.

2007 წელს დავინიშნე გიტარისა და ფოლკლორული საკრავების სპეციალისტად სენაკის სამუსიკო სკოლაში, ასევე პარალელურად ვმუშაობდი სენაკის მოსწავლე -ახალგაზრდობის სახლში, მიუხედავად დატვირთული გრაფიკისა მაინც ვახერხებდი პედაგოგიურ მოღვაწეობას სკოლაშიც, 2004 წლიდან 2020წლამდე ვიმუშავე მუსიკის მასწავლებლად კერძო სკოლა „აპოდიქსში", 2021 წელს ვიყავი მიწვეული მუსიკის მასწავლებლად აფაზეთის მეშვიდე საჯარო სკოლაში, სადაც დღემდე ვმუშაობ. მიუხედავად დუხჭირი ცხოვრებისა, სიმღერა არ მიმიტოვებია, სულ მქონდა სურვილი შემექმნა ჯგუფი. 2005 წელს გავიცანი ის გოგონები, რომლებიც ახლა მყავს ანსამბლში, დავიწყეთ ტრადიციული სიმღერებით და საკმაოდ წარმატებით, რეპერტუარი მრავალფეროვანი გვქონდა, ჭარბობდა ლაზურ-აფხაზური სიმღერები, რა თქმა უნდა მეგრული და ქართულიც... ცოტა ხანში დაგვეწყო მოწვევები ფესტივალებსა და კონკურსებზე, აქაც წარმატებულები აღმოვჩნდით...ასე შეიქმნა ანსამბლი „გოგალაი". მაგრამ რეორგანიზაციის შედეგად ანსამბლი დაიშალა, მიუხედავად ამისა არ მიგვიტოვებია ჩვენი საქმე, ერთმანეთის და სიმღერის სიყვარული არ გაგვნელებია. ოცნებაც აგვისრულდა და ანსამბლი ისევ აღდგა. ამჟამად „გოგალაი" ფუნქციონირებს სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრში. შემადგენლობაში ხუთი წევრია: ლანა შამათავა, ცირა ჯოლია, ბადრი ალანია, გოჩა ჯგერენაია და მე. დღემდე აქტიურად ვმონაწილეობთ როგორც რაიონულ, ასევე გასვლით ღონისძიებებში, ფესტივალებსა და კონკურსებში.

ვფიქრობთ ანსამბლის საიუბილეო სოლო-კონცერტი გავმართოთ, რომლის რეპერტუარი იქნება საინტერესო და მრავალფეროვანი, არა მარტო ფოლკლორი, არამედ, ქალაქური და საესტრადო ჟანრიც. ხშირად გვაქვს მიწვევები სატელევიზიო გადაცემებში, ასევე საგასტროლო გასვლები, რომლის განხორციელებაშიც მხარს გვიჭერს ჩვენი მუნიციპალიტეტი. 2023 წელს ვიყავით ლატვიაში, სადაც წარმატებული ტურნე გვქონდა. წელს მიგვიწვიეს „ღვინის ფესტივალზე" ქალაქ საბილეში, სადაც დიპლომით დაგვაჯილდოვეს და მათ „ტრადიციულ" სტუმრებად დაგვასახელეს. ჩვენი მიზანია რეპერტუარი საინტერესო, მიმზიდველი და ხარისხიანი იყოს. ძველ, ავთენტურთან ერთად შევქმნათ ჩვენეული, თუნდაც საავტორო სიმღერები, რომელიც იქნება „გოგალაის" არქივში, ეს ალბათ სამომავლოდ.

გაზეთ „კოლხეთის" რედაქცია თვლის, რომ სენაკში მოქმედი ფოლკლორული ანსამბლები, მათ შორის „გოგალაი", „მუსიკელი" არაერთი გასტროლით, გასვლითი კონცერტით კვლავ შორს გაიტანენ ჩვენი ქალაქის სახელს. ვულოცავთ მათ საგასტროლო ტურნეებზე მოპოვებულ აღიარებას და ვუსურვებთ შემოქმედებით წინსვლას.

მაია გერგაია

„სტუმრებს ის სიხარული გავუზიარეთ, რაც პოეზიას მოაქვს“

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების სენაკის ცენტრში სკოლამდელი აღზრდის სტუდენტებმა გამართეს გლაკტიონ ტაბიძისადმი მიძღვნილი პოეზიის საღამო.

ლაკონურმა დიზაინმა, პოეტის ცხოვრება-შემოქმედების ამსახველმა ფოტო-ვიდეო

კადრებმა, სიძველის ნიშნით დაღდასმულმა ყოფითმა ატრიბუტებმა, გალაკტიონის ცოცხალმა ხმამ, სტუდენტების მიერ წარმოთქმულმა ლექსებმა მართლაც რომ პოეზიის სამყაროში ამოგზაურა მსმენელი, ემოციითა და შთაბეჭდილებებით დამუხტა ისინი. საღამოს ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს, საზოგადოების ფართო სპექტრი წარმომადგენლები.

როგორ დაიბადა აღნიშნული საღამოს იდეა, როგორ მოხდა მისი განხორციელება - გვესაუბრებიან ღონისძიების ავტორები და მონაწილენი.

ლეილა ცომაია, უნივერსიტეტის მოწვეული მასწავლებელი – დიდი ბედნიერებაა, რომ ჩვენს ქალაქში არსებობს ისეთი განათლების კერა, როგორიცაა შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრი, სადაც ახალგაზრდები მთელი რეგიონიდან ეუფლებიან სხვადასხვა პროფესიას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია „სკოლამდელი აღზრდის“ სპეციალობაზე სტუდენტების აქტივობა, გამოვყოფდი პირველკურსელებს.

ეს თვალხატულა გოგონები იდეალური დედები და მეუღლეები არიან. მათ ერთმანეთს კარგად შეუთავსეს სტუდენტური სიბეჯითე და ოჯახური საქმიანობა. ისინი თავის სპეციალობის სიყვარულთან ერთად პოეზიის სიყვარულმაც გააერთიანა და როდესაც წამოიჭრა საკითხი ბუმბერაზი პოეტის - გალაკტიონის-საღამოს ჩატარების შესახებ, ყველამ ერთხმად აიტაცა ეს წინადადება, დიდი მონდომებით და სიყვარულით მოიძიეს გალაკტიონის ცხოვრების დეტლები, ღამეები ათიეს, რომ კრგად შეესწავლათ ამ დიდებული ადამინის ცხოვრება და ბევრიც საზოგადოებისათვის უცნობი ფაქტები აღმოაჩინეს. ჯგუფი ერთსულოვანი და საკმაოდ მონდომებული იყო და საუცხოოდ გაართვა თავი დაწყებულ საქმეს. მჯერა ამ გოგონების, ისინი ღირსეული ცოდნით აღჭურვილი მასწავლებლები იქნებიან და ნებისმიერი საბავშვო ბაღი ინატრებს მათთან თანამშრომლობას.

მადლობა მათ ამ დაუღალავი შრომისათვის, დიდი მადლობა სასწავლებლის ადმინისტრაციას, სასწავლებლის ხელმძღვანელს ქალბატონ მანანა ჭანტურიას, საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელს ქალბატონ როზეტა გულუას თანადგომისათვის. მადლობას ვუხდი უფალს, რომ მომცა შესაძლებლობა ვიყო ამ ღირსეული კოლექტივის წევრი და ასევე მქონდეს ურთიერთობა ამ უსაყვარლეს ახალგაზრდებთან. ვისურვებდი მომავალშიც ბევრი საინტერესო ღონისძიება დაეგეგმოთ და ჩაეტარებინოთ ახალგაზრდებს ამ დიდებულ ცოდნის ტაძარში.

თეა მალანია, სტუდენტი - ინსპირაციის წყარო - გაგვემართა პოეზიის საღამო - იყო ჩვენი „დედა-ლექტორი", პოეზიის მოტრფიალე ქალბატონი ლეილა ცომაია.

რა თქმა უნდა ჩვენც მაშინათვე ავიტაცეთ ეს იდეა. დავსახეთ გეგმა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ინტერიერი, ვინ მიიღებდა მონაწილეობას, ესთეტიკური მხარის უზრუნველყოფაზე ფიქრი დიდხანს არ დაგვჭირვებია, თუმცა ჩანაფიქრის სისრულეში მოსაყვანად, რომელიც გალაკტიონის ოთახის იმიტაციას გულისხმობდა, ძველი ნივთების მოძიება დაგვჭირდა, ყველა მონაწილეს სახლიდან მოგვქონდა რაც კი რამე „ძველი" მოგვეპოვებოდა, რათა თემატიკისა და ინტერიერის კონტრასტი შეგვექმნა. ძირფესვიანად მოვიძიეთ არქივიდან პოეტის შესახებ ნაკლებად ცნობილი ფაქტები, ვიდეომასალები, რომელიც მის გენიალურ პოეზიასთან ერთად ბიოგრაფიულ ცნობებსაც მოიცავდა.

გალკტიონ ტაბიძის შემოქმედება ძნელია ერთ საათში ჩაატიო, მაგრამ ისე გადავანაწილეთ, რომ თემატიკა არ ყოფილიყო მოსაბეზრებელი.

ხატია სიჭინავა, სტუდენტი – სტუდენტებმა დამსწრე საზოგადოებას გავახსენეთ პოეტის უკვდავი სტრიქონები, წარმოვადგინეთ გალაკტიონის შემოქმედებისა თუ ცხოვრების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა. პოეტის ცხოვრებასთან დაკავშირებული დეკორაციები უფრო შთამბეჭდავს ხდიდა შემოქმედებით საღამოს.

პოეტის ლექსის კითხვისას ვცდილობდი იმ სიყვარულით და მოწიწებით წამეკითხა, როგორც თვითონ წაიკითხავდა. ყველა სიტყვას ვგრძნობდი. გადავწყვიტე ჩემი გოგოც, 7 წლის ნინიც ჩამერთო ამ საღამოში, მასაც იმავე მოწიწებას ვთხოვდი ყოველი სიტყვის წარმოთქმისას და მგონი გამოგვივიდა დედა-შვილს. გალაკტიონი ხომ ბუნებისა და ადამიანის სულის ბგერათა მესაიდუმლეა.

ხატია მატუა, სტუდენტი - ძალიან დიდი პასუხისმგებლობა ავიღეთ საკუთარ თავზე თითოეულმა ჩვენთაგანმა, ვეცადეთ გაგვეჟღერებინა გალაკტიონ ტაბიძის ძალიან საინტერესო ცხოვრებისეული დეტალები და ლექსად მოვფერებოდით ჩვენს გენიას.

ვფიქრობ, მოწვეულ სტუმრებს ის სიხარული გავუზიარეთ, რაც ლიტერატურას და პოეზიას მოაქვს. მინდა ვისურვო, რომ ჩვენი ქალაქი, ყოველ წელს უფრო მეტად „პოეტური" გახდეს, უფრო მეტად ხელოვნებასთან და პოეზიასთან დაახლოებული, იმიტომ, რომ ქალაქის სულს და ხასიათს ქმნის პოეზია და ხელოვნება.

ღონისძიების დასასრულს მოწვეულმა სტუმრებმა, უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა თავიანთი კმაყოფილება გამოხატეს, აზრები დააფიქსირეს, სტუდენტებს კი პროფესიული წინსვლა უსურვეს.

ჟ. ჩაჩიბაია

თათუშა ბასილაია-ჭაავა

ხსოვნა

97 წლის ასაკში გარდაიცვალა ძლიერი ქალისა და თავდადებული დედის, მზრუნველი ბებიის, დიდი ბებიის საუკეთესო მაგალითი თათუშა ბასილაია-ჭაავა.

პროფესიით პედაგოგმა, ცნობილ პედაგოგ ვაჟა ჭაავასთან ერთად თაობები აღუზარდა ქვეყანას. პროფესიული თავდადებით და მკლავმოუღლელი გარჯით დაიმსახურა შრომის ვეტერანის წოდება, მრავალგზის წლის საუკეთესო მასწავლებლისა და განათლების სამინისტროს საპატიო ჯილდოები. 2020 წელს მიენიჭა სენაკის საპატიო მოქალაქის წოდება.

ქალბატონი თათუშა გაზეთ „კოლხეთის“ ერთგული მკითხველი და საპატიო რესპონდენტი იყო, ხშირად ბეჭდავდა გაზეთის ფურცლებზე ლექსებს, ჩანახატებს, ბიოგრაფიულ ნარკვევებს.

ოჯახმა, მრავალრიცხოვანმა აღზრდილებმა, ნათესავებმა ლოცვითა და ცრემლებით გააცილეს იგი უკანასკნელ გზაზე. ნეტარ იყოს მის სახელზე დანთებული ყველა სანთელი, სამარადჟამო ხსოვნა და ნათელი მის სპეტაკ სულს.

“კოლხეთელები“

ალფეზ ყურაშვილი

ყველა პროფესიას თავისი დანიშნულება და ხიბლი აქვს. საქმე ისაა, ადამიანი პროფესიულ საქმიანობაში თავს როგორ წარმოაჩენს, როგორ წარმართავს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, ამის მიხედვით ფასდება ყოველი ადამიანის ცხოვრების გზა, ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს პროფესიის რა გვარობას, მთავარია შენზე მონდობილი საქმე კეთილსინდისიერად შეასრულო, ამიტომ შეიძლება ითქვას – პროფესიას ადამიანი აკეთილშობილებს, ამით იმის თქმა მინდა, რომ ნებისმიერი პროფესია დასაფასებელია და საჭირო.

დღეს გვინდა გავიხსენოთ, 70-იან წლებში ჩვენი რედაქციის მძღოლი ალფეზ ყურაშვილი. ბუნებით მშვიდი, გაწონასწორებული, პუნქტუალური, თავისი საქმის პროფესიონალი, ზრდილობითა და ნაკითხობითაც ირჩეოდა თურმე, ამიტომ რედაქციაში ყველა აფასებდა და ენდობოდა. იყო დაუზარელი, მუდამ მზად თანადგომისათვის. 1926 წელს დაბადებული 1982 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა. ადრე დაობლა შვილები - მადონა და მამული. იმიერ საუფლოში გადასულმა კაცური კაცის სახელი დატოვა, რითაც ამაყობენ: შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები.

მიმდინარე თვეს ალფეზ ყურაშვილის გარდაცვალებიდან 42 წელი შესრულდა. ნათელი მის პატიოსან სულს!

“კოლხეთელები“

გაზეთ „კოლხეთის“ რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს ღვაწლმოსილი პედაგოგის

რივალტა ბახიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს...

ხოფერიასა და დიმიტრი თავდადებულის ქუჩის მეზობლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ თავის კუთხეზე, ოჯახზე და მეგობრებზე შეყვარებული, უკეთილშობილესი ადამიანის

ნუგზარ სირიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს

სარედაქციო ჯოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათერია
ჯორესპონდენტები: მაია გერგაია, გიორგი გარუჩავა
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის №56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ“
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33